

ლიტერატურის მუზეუმი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

2 აგვისტო, 2013 წ.

№55 (3665)

გამოცემის 77-ე ფენი

ვასი 1 ლარი



2 აგვისტო – ელიონი – უცხოდესასა და უცხოეთა ასეთი ანგელოზის ძღე

სრულიად საქართველოს პათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავზე
რადიო „ივანიაშვი“ ნარმოთებული მილოცვის სიტყვა

დიდის მოქრძალებით მოგესალმებით,
თქვენი უნმიდესობა! ჩვენი ძვირფასო
პატრიარქი!

ქართველი ერის ისტორიის ყველაზე უმ-
ძიმეს დროში მობრძანდით თქვენ „მზიანი
ლამის ეტრატით“ და მზებულის ლამები-
ში საქართველოს მოუკლინეთ ღვთიური
ნათება.

დიდი (ჟუჟუნა) წვიმა რომ მოვა უდაბ-
ნოში – ჯერ მდინარებს აადიდებს და მე-
რე ბალასაც ამოიყვანს მინიდან – ეგრეთ-
ვე თქვენ, თქვენი ლოცვებით აღმოაცენეთ
რწმენის მდელოები ქართველთა სულის
უდაბნოში, შექმნით იმედის ოაზისები; გა-
აცოცხლეთ ყოველივე სულთან კავშირში
მყოფელი: მუსიკა, პოეზია, მხატვრობა...
იმედი...

თქვენ, თავად მხატვარმა და შემოქ-
მედმა, საგალობლების შემქმნელმა, თქვე-
ნი მადლით აკურთხეთ ქართველი კაცის
ღვთიური გენეტიკური კოდი და იხსენით
იგი ეშმაკის (სატანის) ხელისაგან...

საბედისნერო უამს თქვენ გადაარჩი-
ნეთ მინა და მამული, რომელზედაც ჩვენ
კცხოვრობთ დასაბამითგან (...) და აღამაღ-
ლეთ მუნ „ტაძართა სიმფონია“ და სრული-
ად ახალი რეალობა შექმნით.

თქვენ შეალწიეთ უძველეს (საკალურ)
ისტორიულ პროვინციათა სიღრმეში და შა-
ტილში პირველ ტაძარს ჩაუყარეთ საფუძ-
ველი! იქ, არასოდეს არც ერთი ეპისკოპოსი
არ შესულა, არამც თუ პატრიარქი – არცა
რომელთამე საუკუნეთა წიაღ!

ეს დიდი ენერგეტიკული ნათება, უმთვა-
რო დამეთა ისტორიაში, თქვენ მოჰყოინეთ
„ქალდეურ ქალაქთა“ ჩაშლილ ნამსხვრე-
ვებს, რომლებმაც XXI საუკუნეში მოიტა-
ნეს უძველეს დროთა სუნთქვა.

ვერავინ იტყვის იმას, რაც არ თქმულა
მზისკეშეთში!..

თქვენი აქ ყოფნის სიხარულს ვულოცავ
ქართველ ხალხს, – უფლის ამ უჩვეულო
ჯილდოს, – ამ ხთონური მტრების შემოტე-
ვის და სულიერი (ასევე ფიზიკური) მერყე-
ობის უამს, სიმურთა დენასა და ხორშაკთა
ფრფენაში.

თქვენ – 35 წელი გედოთ ხელი სარე-
ცელზე მწოდლარე ერის პულსზე (მაჯაზე)
და შეძელით მისი ნამოყენება!

ჩვენი ღრმა რწმენით, თქვენივე კურ-
თხევით და ლოცვით, თითქოს „არსაიდან“ –
მოვიდა კაცი – მადლით მოსილი, უშიში და
გონიერი, ვითარცა კვირია და, ვგონებ, რომ
იგი, ჭეშმარიტად აღასრულებს უფლის ნე-
ბას – ვერსად წავა აქედან!..

მადლობა უფალს, უნმიდესო, თქვე-
ნი მოვლინებისთვის და აქ ყოფნისთვის ამ
უფალ უამს! ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთე-
ლობა და დიდხანს სიცოცხლე!

საქართველოს მნერალთა ეროვნული
აკადემიის სახელით
კობა-იაკობ-აპა არაბული

თამაზ წივწივაძე:

ბალათარ არაგაცი – როგორც ასეთი!



ბატონო ბალათერ!

ანუ: „ვაჟკაცო მთაში გაზრდი-
ლო, იალაღზედა!..“ იქნებ მთე-
ბიდან ცოტა ბარისკენ ჩამობრ-
ძანდეთ, ნამდვილ ბარში (კვების
ობიექტში) დავსხდეთ და, ჩემთან
რომ ფინანსური საკითხები გაქვს
გასარკვევი, იმ თემაზე ვისაუ-
როთ!

დაიწყე, ბალათერ, – გისმენ!

გვ. 2-3

გენო კალენდია



უფალო, თოვლი მოსულა ღამით,
რა სიმშვიდეა, რა სილამაზე!
თითქო ათასი ციმციმებს კვარი, –
შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე.

ისეთი მზე და გარემო სუფევს,
ისეთი მნათი ანათებს საყდარს,
თითქო იები მოგართვეს წუხელ
წმინდა მამებმა სიონის კართან.

ერისთავის არაბული არაბული

რალათორ პრეზული - რომოც ასეთი!

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო მთაში გაზრდილო, იალაღზედა!..“ იქნებ მთებიდან ცოტა ბარისენ ჩამობრძანდეთ, ნამდვილ ბარში (კვების ობიექტში) დავსხდეთ და, ჩემთან რომ ფინანსური საკითხები გაქვს გასარკვევი, იმ თემაზე ვისაუბროთ!

დაიწყე, ბალათერ, – გისმენ!

„ბატონი თამაზ!.. მე რომ ჯერჯე- რობით არაფერი მითქვამს იმაზე, რომ მწერალთა კავშირის წინა ხელისუფ- ლებამ, რომელსაც შენ მეთაურობდი, მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანის“ ფართის 75%, „მერნის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, ჩუმად დაირიგეს...“

ბატონი ბალათერ!.. მეც ხომ ჯერ არაფერი მითქვამს იმაზე, რომ თა- ვის დროზე მწერალთა გაერთიანება „ოტარიდმ“ გააკეთა განცხადება, სა- დაც ნათქვამია:

„მთელ საქართველოში გახმაურ- და თამაზ წივნივაძის წერილი – „აიღე შენთვის, შენც ხომ შევარდნაძე არა ხარ!“ – რომელშიც უაღრესად პრინ- ციპულობითა და სიმახვილითაა მხი- ლებული კორუმპირებული სახელმწი- ფო სისტემა. სასიამოვნოა, რომ მარ- თალმა სიტყვამ გამოაფხიზლა ბედს მინდობილი საზოგადოება, აქა-იქ მხარდამჭერთა ხმაც გაისმა, მაგრამ, ცხადია, ეს საკარისი არ არის. საქ- ვეყნო ჭირს ვერ განკურნავს ერთი, ან თუნდაც ათი კაცის სიტყვა. ყველა, ვისაც გვინუხებს ჩვენი ტანჯული სამ- შობლოს ბედი, უნდა დავდგეთ სიმარ- თლისა და პატიოსნების დასაცავად.

დავიცვათ საქართველო სიტყვით და საქმით!“

ჭაბუა ამირეჯიბი,
ბაჩანა პრეგვაძე,
გურამ გეგეშიძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ დორჩანაშვილი,
ანა კალანდაძე,
ემზარ კვიტაიშვილი,
მურმან ლებანიძე,
შოთა ნიშნიანიძე,
ლია სტურუა,
არჩილ სულაკაური,
ნუგ ზარ შატაიძე,
ოთარ ჩხეიძე,
თამაზ ჩხერეკლი,
დავით ნერედიანი,
ტარიელ ჭანტურია,
ვახტანგ ჭელიძე,
თამაზ ჭილაძე,
ოთარ ჭილაძე,
ძესი ხარანაული,
ვახტანგ ჯავახაძე.

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო, მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ ეს ამდენი პირველ- ხარისხოვანი მწერალი, რომელთა ფრჩხილადაც შენ, როგორც ლიტერა- ტორი, არც ლირხარ, როგორ გონია, შენი ერთი სულელური აზრის გასაბა- თილებლად არ იკმარებს?!

აი, ეს „სამწერლო-თავადაზნაურო- ბა“ კი წერს, რომ მთელ საქართველო-

ში გახმაურდა თამაზ წივნივაძის წე- რილი, რომელშიც უაღრესი პრინცი- პულობითა და სიმახვილითაა მხილე- ბული კორუმპირებული სახელმწიფო სისტემა!..

შესაძლებელი პატიოსნებით კი გამომი- ჩენია თავი, და, კიდევ უფრო მეტი რა უნდა მექნა?!

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ შენ, მგონი, ინუინერი კაცი ხარ, – ყოველ შემთხვევაში, ნამ- დვილ მწერლობამდე ჯერ კიდევ ბევ- რი გაკლია, – მაგრამ ამ ერთხელ ეს კარგიცა, თუკი, მწერლობასთან შე- დარტით, შენს ძირითად პროფესიაში უკეთ ერკვევი! –

მე ჯერ ვერც ერთ მწერალ-ფილო- ლოგს ვერ გავაგებინე, რომ „მერა- ნის“ შენობის გაყიდვას, – რომელიც არასდროს ყოფილა მწერალთა კავში- რის საკუთრება, – ჩვენ არავინ შეგვე- კითხებოდა!

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ ერთხელ და სამუდა- მოდ დაიმახსოვრე: გამომცემლობა „მერანის“ შენობა გაყიდა მისმა კანო- ნიერმა მესაკუთრემ – ქონების მართ- ვის სამინისტრომ!

ყოვლად წესიერი კაცის, ბატონ ავ- თანდილ სილაგაძის მინისტრობის დროს!

ჩემი დამსახურება აქ მხოლოდ ისაა, რომ ქონების მართვის სამინისტროს ჩავჭალე ის თავდაპირველი გარიგე- ბა მყიდველთა იმ ჯგუფთან, რომელ- თაც სურდათ ეს შენობა პომიდვის ჯემებისა და ქლიავის კომპანტების გა- საყიდ პუნქტად ეციათ!

ამ გარიგების ჩაშლის შემდეგ, ეს შენობა გაზეთ „მესაკუთრეში“ ორ- ჯერ, თითო თვით, იდო გასაყიდ შენო- ბათა ჩამონათვალში!

ჩემს კაბინეტში შემოსულ მწერ- ლებს, – ასეთები, შემიძლია, ათობით დავასახელო, – ვთხოვდი, თუკი სამუ- ალება პქონდათ, ანუ რასაც მათი ჯი- ბე განვდებოდა, შენობის რაღაც წილი მაინც შეეძინათ!

რასაკავირველია, ჩემს ამ შეთავაზე- ბას თითოეული მათგანის ირონიული ღიმილი მოჰყვებოდა-ხოლმე!

ვფიცავ პატიოსნებას, რომელიც ჩემთვის ყველაფერზე მეტია! არც ერთ მწერალს, საკუთარი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეს- ყიდვის სურვილიც კი არ გამოუთ- ვამს!..

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ ან შენ, ან შენს კოლე- გებს ვინ დაგიმალათ იმ შენობის ყიდ- ვა, რომელიც, როგორც ზემოთ გითხა- რით, მთელი ორი თვე იდო გაზეთ, „მე- საკუთრეში“ გასაყიდოა ნუსხაში?!

სამწუხაროდ, მამინ მე ვერ შევეძლი- მოთვის შენობის შეძენა და, როგორც დაჩვეული მყავდით, მერე მწერალთა კავშირის სულელები დაცვა“.

უნდა გაგაცირვო, ბალათერ – ფონ- დის დაარსებიდან სულ რამდენიმე თვეში 205760 ლარი შემოსული ფულით გიდგათ სული!

და, კიდევ, მე რომ მწერლები შიმ- შილისგან მეხსნა, ამის მეტს არაფერ

25%-იანი წილი ნებაყოფლობით და- ვათმობინე და მწერალთა კავშირისთ- ვის ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადმოვაცემინე!

ბიჭი! ინუინერი კაცი ვარო, რომ იძახი, ამის გამოკვლევა არ შეგეძლო?!

მე იმაზე მაქვს პრეტენზია და იმა- ზე მწყდება გული, ეს 25%-იანი წილი უფასოდ რომ მოგეციო, დაახლოებით, მიღიონნაშევარ დოლარს შეადგენდა, სად წაილეთ?

ან კიდევ, მწერალთა კავშირში ჩა- მოკიდებულმა ორმა თუ სამმა ნათუ- რამ, 700000 დოლარის დენი რომ და- გინვათ, ის გადახდილი „ჩეკი“ მანახეთ და, მეტი არაფერი მინდა!

არ გრცევენიათ, თქვე ცულლუტე- ბო, ამ საწყალ მწერლებს რომ ატყუ- ებთ?

მე კიდევ, რამდენჯერ უნდა გითხ- რათ, გამომცემლობა „მერანის“ შე- ნობა, რომელიც არასოდეს მწერალთა კავშირის ქონება არ ყოფილა, კანონის სრული დაცვით რომ გაიყიდა?

ჩემი თუ არ გჯერათ, აი, მოვუსმი- ნოთ ქონების მართვის იმდროინდელ მინისტრის მოადგილეს, ბატონ დავით გელაშვილს, ანუ იმ პირველებას, რომლის სამინისტრომაც ეს შენობა გაყი- და!

„მოგახსენებთ, რომ გამომცემლო- ბა „მერანის“ შენობის პრივატიზირება განხორციელდა მოქმედი კანონმდებ- ლობის შესაბამისად – მინისტრის მო- ადგილები დაგელაშვილი“.

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ შეიძლება, ქონების მართვის მინისტრის მოადგილის სტა- ტუსი „გეპატარავება“, ამიტომ ახლა, ამავე საკითხთან დაკავშირებით, იმ- დორონდელი ძალოვანი სამინისტრო- ების პირველი პირების „დასკვნაც“ ვნახოთ!

„ამრიგად, გამომცემლობა „მერა- ნის“ პრივატიზირება განხორციელე- ბულია მოქმედი კანონმდებლობის შე- საბამისად“.

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟუაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ ამის მეტს არაფერ გეტყვი – გრცევენოდეს!

ხოლო, რაც შეეხება მაჩაბლის პირ- ველ ნომერში არსებულ შენობას, რომლის ქირაც დღეს მწერალთა კავშირის სემბლდებანელობასა და აპარატის თა- ნამშრომლებს ინახავს, მე რომ თავმ- ჯდომარედ მოვედი, 50 წლის იჯარით იყო გაცემული – ჩემი ავტორიტეტით უკან დაგიბრუნება და დღეს, თუ მწე- რალთა კავშირი კიდევ არსებობს, მხოლოდ მისგან შემოსული ფულით გიდგათ სული!

და, კიდევ, მე რომ მწერლები შიმ- შილისგან მეხსნა, ამის მეტს არაფერ

„თამაზ წივნივაძის ფონდი: მწერალთა სოციალური დაცვა“.

უნდა გაგაცირვო, ბალათერ – ფონ- დის დაარსებიდან სულ რამდენიმე თვეში 205760 ლარი შემოვიდა!

ჯერ იყო

ლი რაღაც სისულელებს და იქვე, ჩემთვის ნიშნის მოსაგებად ამბობ:

„აი, ეს არის სიმართლე, ბატონო თა-მაზ!“

არა, ბალათერ! რასაც შენ სისულე-ლეს იტყვი, ეს არ არის სიმართლე!

სიმართლე ისაა და, თანაც თავზარ-დამცემი, რასაც ახლა მე გეტყვი!

იმ ფულის ნახევარი, რაც მე სტი-პენდის სახით მწერლებს დაგირიგეთ, დაახლოებით, 150 000 დოლარი, ჩემი ოჯახის ფული იყო!

ღმერთმა მშეიძობაში მოგახმაროთ, უფრო სწორად, უკვე მოხმარებულიც გექნებათ!

(„ჩემებს“ პირველსავე მოთხოვნაზე წარმოგიდგენთ!)

გაერთიანება „ოტარიდის“ დიდი ქართველი მწერლების სტიპენდიების ნახევარიც (თანხის რაოდენობას არ ვასახელებ) ჩემი საკუთარი ფული იყო!

„ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ხუთი წლის ნომრების გამოცე-მაც (თანხას ამჯერადაც არ ვასახე-ლებ) ჩემი ოჯახური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა!..

ბატონი ბალათერ!

ანუ: „ვაჟკაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!..“ არც შენ და, არც შენმა მწერალთა კავშირის სამდივნომ, რო-ცა ჩემს სახელსა და გვარს დაწერთ, იმ მანძილიდან დაახლოებით 1500 კი-ლომეტრზე, სიტყვა კორუფციას აღარ ახსენოთ!..

ამის მეტს მე არაფერს ვითხოვ!

ხოლო თუ სხვა არაფერი გაინტე-რესებს, ახლა მე თვითონ შევეცდები, მკითხველის ყურადღება შენი პერსო-ნისკენ მივაპყრო!

საქმე აქაც ქურდობას ეხება!

ამიტომ თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ქურდობა არც მწერლობაში არის უცხო ხილი: საუკუნეების მანძილზე იპარავენ მეტაფორას, რითმას, სიუ-ჟეტს და განმკითხავი არც ჩვენთან ჩანს ვინებ!

მაგრამ თუ ერთი ქართველი მწერ-ლის მაქსიმას ვერწმუნებით, საქმე არც ისე საგანგაშოა: ლიტერატურაში, მართალია, ქურდობა შეიძლება, თუმ-

ცა ნაქურდალის დამალვა ჭირს! მართლაც, კიდევ რომ მოიპარო აკაკის „განთიად“ ან ილიას „ჩემი კარგო ქვეყანავ“, სად გინდა მერე და-მალო?!

მაგალითად, შენ ბალათერ! ანუ: „ვაჟკაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა...“ რაც მეტაფორა, რითმა, სიუჟეტი, პირდაპირ სტრიქონებიც და, ღმერთო შეგცოდე, მთელი ლექსიც მოგიპარავს, იმას ვინ დათვლის!..

მე რომ ახლა შენი ლექსები მაგი-დაზე დავაწყო, მერე რომ ისინი მეტა-ფორებად, რითმებად და ცალკეულ სტრიქონებად დაგმალო და ქართველ პოეტებს მოვუბრი „ნივთების“ ამოცნობაზე, დარწმუნებული ვარ, იმ მაგი-დაზე აღარაფერი დარჩება – თავის საკუთარ „ქონებას“ ყველა შინ წაიღება!

პოეტური კლებტომანია გჭირს შენ, ბალათერ! როგორც ამ სენით დაავა-დებულ ძვირფას ქალბატონებს არ შეუძლიათ სუპერმარკეტიდან ისე გა-მოსვლა, ხელს რაღაც არ გამოაყო-ლონ, ასევე გემართება შენც და თუ საკუთარ იმიჯს არ გაუფრთხილდი, ბოლოს, პოეტია კი არა, „გაფუჭებულ ქურდად“ ჩამოყალიბდები!..

ბიჭო, ბალათერ! ამ პატარა კაცს, ვლადიმერ სოლოუხინის ამ სიგრძე ლექსი რამ მოგაპარინა?!

ძვირფასო მეითხველო! ნახეთ, კვალის არევის მიზნით, სა-თაური როგორ შეუცვლია?

სოლოუხინთანა – „მგლები“. არაბულთანაა – „მგლების წერილი ძალებს“.

სოლოუხინთან ლექსს ეპიგრაფია საერთოდ არ გააჩნია!

არაბულთან კი ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მგლები არ მოშლის მგლობასა, ვაჟკაცი ვაჟკაცობასა (ხალხური).“

არადა, ბალათერ!

ანუ: „ვაჟკაცო მთაში გაზრდილო!..“ სხვისი ლექსის მოპარვა, კაცმა რომ თქვას, ვერაფერი ვაჟკაცობაა!

კი, თურმე, სადღაც, ერთ ადგილზე, გინერია – ვარიაცია სოლოუხინის თე-მაზეო!

არა, ბალათერ, ეს ვარიაცია კი არა, პირდაპირ ქურდობაა!..

აბა, ძვირფასო მეითხველო, ერთმა-ნეთ შევუდაროთ ეს ორი ლექსი!



პალათერ არაბული

გვლები

ჩვენა ვართ მგლები, ველურ და საშიშ ცხოვრებისათვის ცოტანი ვიშვით და ორლულიან თოფების ხმაში ილევა ჩვენი მოდგმა და ჯიში...

და მოვდიოდით დარში, ავდარში, მთელი სამყარო მოვითარებეთ, მაინც მოვედით, მაინც გადავრჩით, თუმცა ისევ ვართ კანონგარებე...

ჩვენ ცოტანი ვართ, რადგან ვართ მგლები, – ტყეს შეფარულნი უცხო ჩრდილებად, ჩვენც ძალები ვართ – თქვენი გაგებით, მაგრამ არ ძალგვდის ჩვენ მორჩილება...

თქვენ – სალაფავი წვნიანი თეფშით, ჩვენ – შიმშილობით ავი წრიალი, – თოვლით დაფარულ მინდვრებში, მთებში საჭმელის ძენა და ხეტიალი...

თქვენ – ნებივრობა გამთბარ ქოხებში და მშვიდი ყოფა ნებით განგების, ჩვენ კი – გზები და ბედი ოხერი, – სავსე ტყვიებით და ხაფანგებით...

თქვენ – მონობისთვის ამრავლებთ ნაგრამს, ჩვენ – ტყები ვყმუით და ვრჩებით მგლებად; თქვენც ჩვენნაირი მგლები ხართ, მაგრამ თქვენ უღალატეთ თავისუფლებას!..

თქვენც გულადები იყავით უნინ, ეთმანეთისგან ვერან გვარჩევდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძელით და დახურდავდით თქვენ დარაჯებად...

პურის ქერქისთვის მონბის სურვილს პირფერობა და ლაჩრობაც ერთვის, ამიტომ ჯაჭვი და საყელური შესაფერისი ჯილდოა თქვენთვის...

თქვენ – თბილი ქოხი გერგუნათ ბედად, ჩვენზე კი – მუდამ თოფები ჰქონება და მგლებს ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მონადეცეული ძალები გვძულხართ!..

ვლадიმირ სოლუხინ

ვოლკი

Мы – волки,
И нас
По сравнению с собаками
Мало.
Под грохот двустволки
Год от году нас
Убывало.

Мы, как на расстреле,
На землю ложились без стона.
Но мы уцелели,
Хотя и живем вне закона.

Мы – волки, нас мало,
Нас, можно сказать – единицы.
Мы те же собаки,
Но мы не хотели смириться.

Вам блюдо похлебки,
Нам проголодь в поле морозном,
Звериные тропки,
Сугробы в молчании звездном.

Вас в избы пускают
В январские лютые стужи,
А нас окружают
Флаги роковые все туже.

Вы смотрите в щелки,
Мы рыщем в лесу на свободе.
Вы, в сущности, – волки,
Но вы изменили породе.

Вы серыми были,
Вы смелыми были вначале.
Но вас прикормили,
И вы в сторожей измельчали.

И льстить и служить
Вы за хлебную корочку рады,
Но цепь и ошейник
Достойная ваша награда.

Дрожите в подклети.
Когда на охоту мы выйдем.
Всех больше на свете
Мы, волки, собак ненавидим.

P.S.

ბიჭო ბალათერ!

ანუ: „ვაჟკაცო მთაში გაზრდილო იალაღზედა!“ კიდევ გიმეორებ: ამ მეტის-მეტად ტანმორჩილ კაცს, ამსიგრძე ლექსი რამ მოგაპარინა, – შენსავით პა-ტარა ვერაფერი ნახე?

არადა, მართლა ჭიანჭველა ხომ არა ხარ, შენზე ორჯერ მეტი ტვირთი რომ ნამოგიჯიდებია მხრებზე და, თანაც მოპარული?

ძვირფასო მეითხველო! რასაც მე დაგბირდით, ყველაფერს პირნმინდად ვასრულებ!

შეგპირდით, რომ დავწერდი ნერილს: „ბალათურ არაბული – როგორც ასე-თი!“

დავწერე კიდეც!.. შემდეგ ნომერში გაახლებთ: „მაყვალა გონაშვილი – როგორც ისეთი!“

ხოლო რეზო მიშველაძე რა „ფრუქტიც“ არის, ამას დაწერაც არ უნდა, ისე-და ყველამ იცის!

ამიტომ, შემდგომ, რეგიონალურ სამწერლო თრგანიზაციის ხელმძღვანელებსაც „ჩამოვალური“ – ამათ მურმან ჯგუბურიასაც მივაყოლებ და, ამ თემაზე საუბარს მოვრჩები!.. დოროებით!..

თენის ჩატური

ରୁଷେତୁ ରୁମ ତ୍ରିଲିଙ୍ଗ୍ୟବୀ ମିଵାପୁର୍ବେ,
ଓସନ୍ଦି ମିଲିନାନାଫ ଦାସାବ୍ଲେଟ୍ରୋ ଡାକ୍ଷଦେତ
(ଦାସାବ୍ଲେଟ୍ରୋ ଉଗ୍ରଲିଙ୍କରୀବୀନ ଉଚ୍ଚରଣକା ଏବଂ
ଅଭିରୂପିଳ ଶୈର୍କରିତ୍ତେବୁଲ ଶତାତ୍ରେବୀ). ମୃଦ୍ଦାବ୍ୟ-
ବୀ ଗାଢ଼ାଲ୍ଲେଟ - ହିସାବ୍ୟକ୍ରିବଦ୍ଧାଫ. ମିଵିଲିନରା-
ତ୍ରୁଣିତ ଏବଂ, ଆଜା, ବିନ୍ଦମାତ୍ର! ଶେଗ୍ବିନ୍ଦାର୍ଯ୍ୟବୀ,
ଶେଗ୍ବିନ୍ଦାର୍ଯ୍ୟବୀ, ମିଗ୍ବିନ୍ଦାର୍ଯ୍ୟବୀନ ଥିର୍ମଣ-
ବେଲବୀତ, ଗାଗବୀତ, ରାଗବାନ୍ଦିତ କରିଲିତ୍ତେଶାତ-
ବୀଲ ନାମବୁଲ, ମରାବାଲତ୍ତାନାଞ୍ଜୁଲ, ହିବର୍ମଣ୍ଡ,
ନବନିଲ ଏବଂ. ଏହି ଗାଗବୀତ ଭରତାରେ, ଏହି - ତାଙ୍କି-
ଶ୍ରୀଭଲ୍ଲବୀର ସାମ୍ବାରନାମ. ତାଙ୍କିଶ୍ରୀଭଲ୍ଲବୀରା! ଏ-
ମନ୍ଦରାତ୍ମିତା!.. ବିଶ, ରା ଦିନଦେବୁଲାଗା!..

სანამ ამ ნანატრ სამოთხეს ბოლომდე
გავუგებთ გემოს, უკვე პირის პირველი ჩა-
გემრიელებისთანავე უნებლიერ გვახსენ-
დება, რომ ოცნება და სინამდვილე ერთი
და იგივე როდია და აქვე ეს ანდაზაც გვახ-
სენებს თავს: მგელს მგლობა დაბრალდა
და ტურაძ ქვეყანა ამოაგდოო.

შორსა ვარ იმ აზრისაგან, ერთმნიშვნელოვნად, ისიც ნაპილისტურად შევაფასოდასავლეთის როლი, დასავლეთის მიერ ჩვენთვის განეული ფინანსურ-ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მნიშვნელობა დამოუკიდებლობის ძნელ გზაზე. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დასავლეთის პრინციპული პოზიცია და პოლიტიკური გავლენა რომ არა, ვინ იცის, ის ავადსახსენებელი 2008 წლის აგვისტო რა საბედისნერო გამხდარიყო ჩვენთვის, საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებული დარჩენილიყო და პოლიტიკურ რუკაზე ნაშლილიყო. ნიპილისტური დამოუკიდებულება არა, მაგრამ გარკვეული გონივრული სკეპტიკიზმი, განასუბიექტური აზრისაგან აღმოცენებული, დამყარებული ობიექტურ რეალობაზე, დაახაც უპრიანია.

ჩევენ გაფთავისუფლდით რუსეთის წინაშე მონური ფსიქოლოგიისაგან, მაგრამ არც დასავლეთის მიმართ გვმართებს მონური ქედმოხრა, მონური ფსიქოლოგიით გამსჭვალვა.

იმსათვის, რათა თავი დავალწიოთ რო-
მელიმე სახელმწიფოსადმი ან რომელიმე
პოლიტიკური პიროვნებისადმი ბრმა რწმე-
ნის, ბრმა თაყვანისცემის გრძნობის აკვია-
ტების ჩვეულებას, საჭიროა ჩვენს აზროვ-
ნებაში დავამკვიდროთ ორი მთავარი პრინ-
ციპი. პირველი: უნდა გადავეჩვიოთ ასო-
ლუტური მნიშვნელობის მქონე კატეგორი-
ებით აზროვნებას. ეს სრული სიკეთეა. ის
სრული ბოროტებაა. უნდა დავეუფლოთ
შეფარდებით, რელატიური მნიშვნელო-
ბის ცნებებით განსჯის წესს. ეს კარგია,
მაგრამ მას ეს ცუდი მხარეც აქვს. ამ შუქს
ჩრდილიც ახლავს. მეორე: ყველას და ყვე-
ლაფრის მიმართ უნდა გვექონდეს ჯანსაღი
კრიტიკული ხედვა. უნდა ვიყოთ ფხიზელი
რეალისტები და არა გულუბრყვილო რო-
მანგიკონები.

Յօմյօրո՞ք: Մամաջրօնքա դա Մամարտ-լոնքա օյնեցօնքա մը ճամբարէօն, մը տաճագ-ցօնմօն ձայնածառօնա, Ռասապ ձասացլետու ինքնեն հիշենքամօն. Մացրամ, ամացո քրօնս, տացա-սնենքա իւղպայեցք ան ծրմա սնճա ոյս, զեր եց-ձացզեց, րոշորնա Տօնամծցուլցին հիշեն նա-յեյու ճամռայուցքալոնքա դա տացուսչուլցեա. մարտլապճա, րա ճամռայուցքալոնքասա ծա տացուսչուլցեանց շեյսկալցեա Տերությու-լու լապարակո, րուպա ճաճամայուլմու շիշմո-ւնանուն զո արա, սկճրալու մռնմյ զեր ճացո-քարյեօն Յոշոյուրադիմուրամո ճասայուտաչագ-ուսու, րոմ նամեզզ ալոյայոտու ար արպացքս մաժ-րուսուտ մալրունքամճա. Եռլոռ, տոյ զաճեցազեն ճա զօնմյ յոնցուլ տաճամցքօնքա Տօրս ճա-պակումրեցք, մաժն Եռմ Տյուլ մտլաճ գաճա-ուրբայուն, գաճամ Շյյեմնուն, ամյրոյուս յոն-ցրյեսու ճա յոշորոյացքուր ծյուկա ճա նալարաս

A black and white photograph of a pair of heavy-duty metal handcuffs. The handcuffs are made of dark metal and feature a thick chain connecting two adjustable cuffs. They are positioned diagonally across the frame, with the open ends facing towards the top right.



ქართველი მითოება, თავის დროზე
ქართველ ბიზნესმენებს რომ განუცხადა
თქვენ რად გჭირდებათ საკუთარი ეკონო-
მიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის
აღორძინება, ყველაფერს ჩვენ მო-
განვდიოთ. დიას, ქართველებს წილად
გვარენებს არა მნარმოებლი, არამედ
მხოლოდა მომხმარებელი ერის ხველრი.
ჩვენი საქმეა მომსახურების სფეროს გან-
ვითარება, მოახლეობა და ოფიციანტობა.
აკი კიდევაც სულ პირზე ეკერა მიხეილ
კვაჭანტირაძეს ბორდელ-სასტუმროებს
შემნებლობა. უკვე ვიხვეჭდთ კიდეც ნელ-
ნელა სექს-ტურიზმის მხარის სახელს. მო-
რალურ-ფსიქოლოგიურ ნიადაგსაც ვქმნი-
დით საამისოდ. ნინკვა-ნინკვი გოგოები
ხომ უნდა მიგვერთმია გადამთიელი ფუ-
ლიანი ბიძებისთვის, როგორც ეს შეეფერე-
ბა თანამედროვე ცივილიზაციის დონეს.
მომსახურების მაღალ ხარისხს. ჰოდა, ჩაა-
გონებრნენ ჩვენს შვილებსა და შვილიშვი-
ლებს, რას დაპერალებთ მაგ ქალიშვი-
ლობის ინსტიტუტს, გათავისუფლდითო
არასრულფასოვნების კომპლექსისგან
ჯერ იბოზეთ, მერე გათხოვდითო.

არც ეროვნული თვითცხობიერებაა სა-

დავძლევთ თუ არა გონიერ ფსიქოლოგია?

ჭირო. საგმობლოს სიყვარული, წინაპართა ხსოვნა, ტრადიციულ ზე-ჩეულებათა დაცვა ჩამორჩენილობაა, წარსულის გადმონაშთა. ეროვნული ოვითცნობიერების მოსაშელელად, მანქურთების გასამრავლებლად მეცნიერება და კულტურა უნდა გააცამტვერო. აქაც გამოიჩინა თავი მიხეილ თუთაბერმა. ორი ძირძეველი სოროსელი, ორი გმირი მნათობი ჩაუყენა სათავეში, ბ-ნ ბოერიას სარდლობით, ჯვაროსნულ ლაშქრობას შემოქმედებითი ინტელიგენციის, ერის გრინის წინააღმდევე, ბატონშა ღომიანაშ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემას გაავლი მუსრი, ბატონიშვილისა გაბაშვილმა ქართულ კულტურას ჩასცა ლახვარი.

ასე კოხტად და ლამაზად გააყოფინა
თუთაბერ-კვაჭანგირაძემ თავი საქართველოს ნეოკოლონიალიზმის მარყუშში. ამიტომ არ უმეტებათ გასანირად თავიანთი ხელის ბიჭი; თავზე ხელი გადაუსვეს, შეაქეს, პირველი რეფორმატორი ხარო, უთხრეს. ღვაწლი დაუფასეს. თანაც: ვინიცობაა, არ უჭაშნიოთ „ქართული ოცნების“ ყოფაქცევა, აგერ ეყოლებათ ისა და მისი გუნდი სათადარიგო ძალად.

მტერიცე პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვება და მორჩილებაში ყოღლა ერთი მხარეა დასავლეთის წევნდამი დამოკიდებულებისა. მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი მხარეა იდეოლოგიურ-კულტურული ექსპანსია – საკუთარ ღირებულებათა, საკუთარი ცხოვრების ნესის უბოდიშოდ თავს მოხვევის ცდა.

ის მორალური დეგრადაცია, რაც ჩვენსა
თვალწინ, ჩვენსავე შეგნით და ჩვენ გარშე-
მო მიმდინარეობს, იმის უშუალო გამოძა-
ხილია, რასაც დასაკლური კულტურისა
კრიზისი ჰქვია. ხოლო კულტურა და ეთიკა
მოგეხსენებათ, ერთმანეთისგან განუყო-
ფელი ჯებებია.

აქ აუცილებელია მცირე წიაღსვლა. მე-
19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეპროპაში

ბული ნამალი პალიატიური აღმოჩნდება ხოლმე. ერთი სიტყვით, დასავლეთის საზოგადოებას თავი ვერ დაუღწევია იმ ჩინებისთვის, რასაც უიდეალობა, უიდეალოდ ცხოვრება ჰქვია.

ჩვენ შეგვიძლია ტექნიკური პროგრესის
დარღვე ბევრი რამ ვისწავლოთ, ბევრი რამ
გადმოვილოთ დასავლეთისგან. ამას, შეძ-
ლებისადაგვარად, ვაკეთებთ კიდეც. ამ მხ-
რივ განეული დახმარებისათვის დასავლე-
თის მიმართ მადლობის მეტი არაფერი
გვეთქმის. რაც შეეხება ზნეობის სფეროს,
მორალის სფეროს, ავკარგიანობას სულიე-
რი ფასეულობდებისას, ცხოვრების წესისას,
აქ საკუთარ ჭკუას უნდა დავენდოთ, საკუ-
თარ თავს უნდა გავუნიოთ ანგარიში, სა-
კუთარი თავის რწმენით უნდა აღვიზუ-
ვოთ. ამისთვის საჭიროა, თავი დავაღლიოთ
მონურ ფსიქოლოგიას, ბრმა თაყვანისცე-
მას, ვის მიმართაც უნდა იყოს იგი. ისევე,
როგორც დავძლიერ მონური ფსიქოლოგია
ჩრდილოეთის წინაშე, უნდა დავძლიოთ
იგივე ფსიქოლოგია დასავლეთის წინაშეც.
თოთ ჭკუა არ საჭირობა იმის, მიზაო-

დიდი ჭურა ამ სციონისტებია იის სიკვედ-
რას, რომ თუ გინდა, მართლა დამოუკიდე-
ბელი და თავისუფალი იყო, თუ არ გსურს,

სათამაშო ტიკინის როლს ასრულებდე
სხვათა ხელში, თუ არ გსურს, გადაშენდე,
გაქრე, საკუთარ ფეხზე უნდა იდგე მყრად,
საკუთარ ეკონომიკას უნდა ალორძინებდე,
რისი წარმოებაც შეგიძლია, შენ თვითონ
უნდა ანარმობდე; ილიას ბრძნულ გაფრ-
თხილებას, თუ ამ წუთისოფელს ერთი თვა-
ლი მოუზუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დი-
დოელი ლეკი ნაბადსო, ყავლი სულაც არ
გასვლია. ანბანური ჭეშმარიტებაა: როცა
მაქსიმალურად ძლიერი ხარ ეკონომიკური
თვალსაზრისით, მინიმალურად დამიკადე-
ბული ხარ სხვებზე პოლიტიკური თვალსაზ-
რისით. მაშინ უფრო ეფექტურად უმეტავ-
დები იმ არასასურველი პროცესის ზეგავ-
ლენასაც, რასაც „გლობალიზაცია“ ჰქვია
და რაც თან ახლავს ინტეგრაციის თავის-
თავად ბუნებრივ, დადებით პროცესს.

დასაცლელი პოლიტიკოსები ჩვენ მე-
გობრებად, პარტნიორებად გვთვლიან. ეს
ძალიან კარგია. ოღონდ მეგობრობა და
პარტნიორობა ხომ დიალოგურ ურთიერ-
თობას გულისხმობს და არა ცალმხრივს –
სულ მონოლოგური რეჟიმით ლაპარაკს.
თუ ჩვენ გამუდმებით ვისმერთ ჩვენი და-
საცლელი პარტნიორების რჩევა-დარიგე-
ბას, ჭკუის სწავლებას, იქნებ ზოგჯერ
ჩვენც მოგვისმინონ, ჩვენი შენიშვნაც ყუ-
რად იღონ. მერე რა, რომ მცირერიცხოვა-
ნი, ეკონომიკურად სუსტი ერთ ვართ. სუ-
ლიერი ავლადიდება, სულიერი კულტურა
ამის მიხედვით არ განიზომება. თუ მათ
ზოგი რამ არ მოსწონთ ჩვენი, იქნებ არც
ჩვენ ვიზიარებთ ზოგ მათ შეხედულებას
ზნეობრივი საკითხის გაგებაში. ჩვენს
ხალხს, მაგალითად, უზნეობად, მანკიერ
მოვლენად მააჩნია ე.წ. „ჰომოსექსუალიზ-
მი“, ძველი ბიბლიური ცოდვა – სოდიმი და
გომორა, რომლის გამოც ღმერთმა სასტი-
კად დასაჯა ამ ორი ქალაქის მცხოვრებნი:
ამოუჟუა ისინი, ქალაქებს ცეცხლი მოუვ-
ლინა, გადაწვა და გადაბუგა.

თომას მანს სადღაც ასეთი გამოთქმა აქვს ნახმარი: რეგრესი, როგორც პროგრესი. რაკი ჩვენს დროში ზოგი უდავო რამ სადა-ვოდ იქცა, ეგბის, კატეგორიული იმპერატი-ვითა და მენტორის ტონით ლაპარაკს პატი-ოსანი, თანასწორულფეხიანი დიალოგი სჯობდეს; აკი დემოკრატიისა და თავისუფ-ლების უპირველესი პრინციპისა საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, და თუ ეს ასეა, ალნიშნული პრინციპის მაღიარებელი არც ერთი პოლიტიკური ძალა არ უნდა იჩემდე-

დეს ამ უფლებას საკუთარ პრივილეგიად.
რაკი ქართველებს ევროპული კულტუ-
რული სიცოცის ნანილად, ევროპული ოჯა-
ხის წევრად მიგვაჩინა თავი ევროპისავე
დასტურით, უფლება უნდა გვქონდეს, მით
უმეტეს, როგორც დიდი სულიერი კულტუ-
რის შექმნელ ერს, ჩვენი საერთო ოჯახის
მდგომარეობის შესახებ მოყვრის პოზიციი-
დან ჩვენი პირუთვნელი აზრი გამოვთქვათ
ხოლმე. ევროპის განვითარება სულიერი
გაჯანსაღების, სულიერი პროგრესის გზით
ხომ ორივე მხარისათვის სასიკეთოა. ■

როგორი ან კედელი იყოს აღმაშენებელი (ფიკტიურა - რაი პირალათთან)

ქხლა ვნახოთ (ანუ შევისვენოთ!)
კონსტანტინე გამსახურდიას
ერთ-ერთ ლექსს, რომელიც დიდ-
მა მწერალმა საქართველოში მეფობის გა-
უქმების გამო დაწერა, რეზო მიშველაძე
რა სალახანურ ინტერპრეტაციას უკე-
თებს:

„განსწავლის პერიოდში მყოფი ახალგაზრდა მგონის სულიერი პერიპეტიები – ქართული ნაციონალური ბუნების დასავლურ მისტიკურ ატმოსფეროსთან დაჯახებით გამონვეული, დამოუკიდებელი საქართველოს ნახვის ტენდენციები, ლიტერატურული მოდით გატაცება და „ვერპარნების“, გრაფ ცეცხლინების თუ „რეპმანების“ თვითმიზნური ხსნება, ოდნავ სასონარკვეთილი და გაბრაზებული ლირიკული გმირი, უცხო სიტყვებით და გამოთქმებით კოლუმბა (ამას ამბობს რეზო მიშველაძე დიდოსტატ კონსტანტინე გამასახურდას შესახებ-ჯ. დ.): „დაეხატა მტკვარს მყერდზე საფირონის ციონი – „მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი“, აგუგუნდენ ზარები, აქვითინდა სიონი...“ ეს სტრიქონები 1917 წლის ოქტომბერში დაიწერა (არ ეჭაბინიკება კომუნისტური სისხლით შაქნლ მიშველაძეს კონსტანტინე გამასახურდას მიერ დარღით დაწერილი სტრიქონება!-ჯ. დ.). ამ ოქტომბერის ანარერის დროს კომინტა-

და. სა ლეიტურო და და არ სჭირდება. როცა რევოლუციის ქარიშხალი ქვეყანას აზანზარებს და მსოფლიო ახალი, ჯერ გამოუცნობი მოლოდინით არის ალსავეს, როცა მიღლონთა საუკუნეობრივ ოცნებას ფრთხები ესხმება და ერთა განთავისუფლების სანეტარო ზარი გუგუნებს, როცა რევოლუციის პოეტები „მარსელიოზნის“ ხმაზე აწრობენ ომახიანი ეპოქის სიმღრებს და პროლეტარული პოეზიის ცაზე (ლმერთო, მომეცი ძალა, რომ არ შევიგინონ: ამის დამწერის ასე და ისე-მეთქი!-ჯ. დ.) ყოვლისმომცველი „მარვლიანი ღრუბელი დადის, ახალგაზრდა ქართველი პოეტი (კონსტანტინე გამასახურდა. ჯ. დ.), გუშინ პეტერბურგში მარის ლექციებს რომ ისმენდა და ახლა ბერლინის მწვანე შტრასებზე ათენ-ალამებს, ზის თავის სტუდენტურ მაგიდასთან და თითქოს რევოლუციურ ხმებს გამოიქცაო, ნაციონალური სევდით ჩურჩულებს – „მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი“. რა მოტივები ასაზრდოებენ ამ ლექსის ნალვლიან განხყობილებას, რატომ ჩაესმის ახალგაზრდა პოეტს სიონის ზარების ხმაში სასოწავლებელი „მოკვდა ბაგრატიონი?“ („სიტყვა და საქმე“, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ., რ. მიშველაძე).

სხვაგან მიშველაქე უფრო შორს მიდის
და კონსტანტინე გამასახურდია რევოლუ-
ციური საქართველოს ერთ-ერთ მონინა-
ა მორით შეიარაღებული.

„ქველის, დრომიჭმულის, დახავსებულის დასაბრუნებლად ყველა გზა მოჭრილია. ისტორიის სარბიელზე მძლავრი ნაბიჯებით მოდის ახალი საქართველო, რევოლუციური საქართველო – ასეთია ამ ნოველის ძირითადი პაտოსი“.

და შემდგომ:
„კონსტანტინე სავარსამიძე თავისი
დროის შევილია. ევროპიდან განსწვლის
დიდი გზებიდან მობრუნებული, თავიან-
თი უპრინციპობით და უზიადაგობით
ცხოვრების ჯანსაღი მდინარეებიდან
განზე დარჩენილი ადამიანები რევოლუ-
ციურმა საქართველომ ნარმოშვა“.

“თარაშ ემხვარი თავისი უმნეობის სრული შეგნებით იღუპება. მის წერილში ავტორის პოზიციაც კარგად ჩანს. ავტორისა, რომლის მტკიცე რწმენა სოციალისტური საქართველოსადმი წითელ ზოლად გასიღავს რომანს”.

არადა, ბატონებო, კონსტანტინე გამა-
სახურდიდა პირიქით – კომუნისტურ რე-
ჟიმს ამხელდა, ლანძღავდა, როგორც შე-
ეძლო. რეზო მიშველაძისთვის კი „მოყირ-
ჭებული, მაგნე გადმონაშთები“ ეროვნუ-
ლი სიამაყე, ცხოვრების წესი და ადათია. მიშველაძეს სჭირდებოდა იმ წლებში კო-
მუნისტების წინაშე წაკუზულიყო, რად-
გან სხვადასხვა, დიდი თუ პატარა რეგა-
ლიების დაუფლება სწყუროდა. იგი გზას
იკავავდა, მაღლა მინევდა, რომ შემდ-
გომ ეყვირა: მე ვარ რუსთაველის პრემიის
ლაურეატი, მე ვარ მწერალი, მე ვარ კა-
თელრის გამგე, მე ვარ პროფესორი, მე
ვარ კრიტიკოსი და ა.შ.

საინტერესოა და სამწუხარო, რომ კაცობრიობა, ძირითადად, ფიზიკური, ხორციელი დანაშაულისთვის ადგენდა კანონებს, ხოლო სულიერების, მისი დათრგუნვა-შეურაცხყოფისთვის, მომავალი თაობების გზის გამრუდება-შერყვნისათვის, ბევრს არას იქმოდა! მიშველაძეს ვინმეტეთვის დანართობა და დაეჭრა, ამის გამო გაასამართლებდნენ, მაგრამ ათასჯერ უმძიმესი დანაშაულისთვის, რაც ახალგაზრდობის, სტუდენტების, ქვეყნის წინაშე ჩაიდინა, პირიქით, ნინ-ნინ წასწინა!

რეზონ მისველაძე განუწყებული ადა-
მიანებისთვის, ერთდროულად, მისაბაძი
აქცია და... მაგრავა!

თუმც, ნინ მეტად საინტერესო ამბეჭი
გველოდება. მოვუსმინოთ მიშველაძეს, რო-
გორ არჩევს ფილოლოგიური წიაღსვლებით
კონსტანტინი გამსახურდიას რომანს.

„უკან დარჩენილა ყოყმანის, პოზიციის გარკვევის, პირველი კომუნის შექმნისა და კულაკობის განადგურების წლები, საქართველოში სოციალიზმის ნინებლას ყოვლისმომცველი მწვანე შუქი უნთია“.

„კოსტაზეცინე გარდანულდიას უკუკარმა მხატვრულმა ალღომ სწორად შენიშნა ორმოციანი ნლების სპეციოთა ადამიანის ფსიქიკაში მომხდარი ცვლი-

„არსაკინის სახით ეკლესიას რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი მორჩილი მორწმუნე როდი ჰყავდა, ღმერთთან ადამიანის შერკინების უკრწერით და რელიგიური სქოლასტიკის არტახების რღვევით სვეტიცხოვლის ამგები თავის ახალ ღმერთს ქმნიდა და მთელი არსებოთ მას ემსახურობოდა“


აქ მცირეოდენ უნდა შევისვენო და
თქვენც შეგასვენოთ... სანამ რევაზ მიშ-
ველაძე სვეტიცხოვლის ამგებს ღმერ-
თან აჩსუბებს (ღმერთი, მე მომიტევ ამ
ცოდვილიანი სიტყვების გამეორება!) და
ახალ ღმერთს აძებინებს, გამოჩენილ
ქართველ მწერალს, რევაზ ჭეიშვილს მო-
კუსმინო, აი, როგორ მიმართავს ერთ
თავის ნერილში საქართველის მწერალ-
თა კავშირის თავმჯდომარეს, თამაზ წივ-
წივაძეს:

„ଦ୍ୱାତୁରିନ ତାମାଥ! ଆମ ନ୍ଳୋଇ ନୟତ୍ରମଧରୀରେ
ତ୍ଵାଶ୍ଚମି „ଗ୍ରାଣ୍ଟି ମନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲିର ଗାଢ଼େତମି (ଅର୍ପ ବୀ-
ପ୍ରାଣି, ଆସିଏ ଗାଢ଼େତ ତ୍ରୁ ଅର୍କ୍ସେବନଙ୍କା) ଡାନ-
ଦ୍ଵେଷ୍ଟା ଅନ୍ତରିମି ଅବ୍ୟାପରୀରେ ନେରିଣିଲ୍ଲ ହୃଦୟି କ୍ରମ-
ମ୍ରାନ୍ତର୍ବ୍ୟାଲ୍ପି (ଅରାମନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲାମ୍ପି) ମନ୍ଦିରାନ୍ତରିକ୍ଷରେ
ଶେଶାଶ୍ଵର, ସାଫାର ଫାଶ୍ଵର୍ବ୍ୟାଲ୍ପିରେ ରାମଦେବିନିମ୍ବ

რი! ანი აღარც დასაკლავად ვარგა, აღარც დასაპეტლად (დასაჩინჩლად), აღარც საკუერცხედ და საკავანედ. იგი ახლა ფართხალებს და ამიტომაცაა საშიში. იფერთხას ჩემის სიბიძნეულს და სვრის არა მარტო ქათმებს, ე.ი. თანამოძმებს, არამედ ადამიანებსაც... და მაინც, ვურჩევ გარეცხილ მწერალს: არ ახსენოს ჩემი სახელი, ნინა-აღმდეგ შემთხვევაში, ბატონო თამაზზ, თქვენის ნებართვით, გამოვაქვეყნებ ამ წერილს თქვენივე გაზეთში, ავტორის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ცნობილი მექრთამის, პარლამენტის მასხარის ნამდვილი სახელი, გვარით, მამის სახელით და მისი (ავტორის) კეთილების მოხსენიებით (გამ. „ლიტერატურული საქართველო“, 42, 2002 წ.).

„აქევ, ამავე გაზებთში, ბატონი რეზო ჭე-
იშვილის ნერილის გვერდით, თამაზ წივ-
ნივაძის ნერილიცა:

„თავს ნებას ვაძლევ, კიდევ ერთხელ
და უკანასკნელად აქსნა ამ კაცის (მიშ-
ველაძის-ჯ.დ.) გაბოროტების მიზეზი!..
როგორც ბევრმა თქვენგამა იცის, რ.
მიშვალაძე მწარაოთა ჯაშირის ბოლო



P.S. მიშველაძის მსგავს „ლიტერატურათმცნობელების“ და „კრიტიკოსების“ (უფრო კი – კრიტიკოსები!) ზედგამომჭრილია ჭეშმარიტი ქართველი პოეტის – მურმან ლებანიძის მიერ წახილით ნათქვამი:

„რად პირს არ გახსნი,
დედამიწავ, თან არ ჩამიტან
ათას თახსირთან
რომ პურს მაჭმევ
ერთი ჯამიდან!“

► გამოცემა შედეგ ნომრი

ჩალი-ეკლესია

კაცთა სულები შენ გიგალობენ,
ხან გედებივით შემოგავნესიან,
მაგ თვალთა სარკმლით მოჩანს
სამოთხე,
შენ მოარული ხარ ეკლესია.

ღმერთია შენი ხუროთმოძღვარი,
შენ ტაძარი ხარ კაცთხელთუქმნელი,
სიყვარულია შენში მოძღვარი,
დამკვიდრებული ღმერთის
კურთხევით.

შენი სხეულის თეთრი კედლები,
ჰაეროვანი როგორც ეთერი
და ჩუქურთმებად ორი მტევანი,
გულის კარებზე გამოკვეთილი.

მკერდზე ჩუქურთმა, ორი მტევანი,
დამნიფებული სხივთა მწვეთელი,
ყველგან იცნობა ღვთის ნახელავი,
ყოვლის შემძლეა ღვთის საჭრეთელი.

შენ ხარ ცისა და მინის კავშირი,
გიყვარს ბროლ ყელზე მთვარის
ამბორი

და არ გშორდება შენივა აჩრდილი,
შენში მცხოვრები, ვით მონაზონი.

სულ გაზაფხულის ჯვარისწერებით
და შემოდგომის პარაკლისებით –
მოუცლელი ხარ, არ მყავს მშველელი,
ვერც შენს წყალობას ვერ ვეღირსები.

ლექსი-სანთელი ახლაც ავანთე,
ამ გულის ცეცხლით, როგორც წესია,
ღმერთო, მგოსნობა თუ დამანათლე,
ნულარ დამიხშობ ქალ-ეკლესია!

●
როცა გავცურავ წუთისოფელს
ჩემი ძვლის ტივით,
იმ დიდ სოფელში, სად წინაპართ
საფლავებია,

თქვით, რომ ერჩივნა
მას სიცოცხლის მსგავსი სიკვდილი,
სიკვდილის მსგავსი სიცოცხლე კა
არ ჰყვარებია!

ჩემი ძვალ-ხორცი მარცვლებივით
მინას იჯრძნობენ,
საფლავის ქვაზეც ეს დაწერონ, თუ
დაწერიან, –
ძმაო, გერჩივნოს მკვდარი კაცი
ცოცხლად ითვლოდე,
ცოცხალი კაცის მკვდარად ყოფნა
საზარელია.

მამაჩემის ანდერძი
აავსე შენი ასავსები,
დაცალე შენი დასაცლელი,
არავინა ვართ აქ დამრჩენი,
ყველა იქით ვართ წასასვლელი.

არ ვძუნწობ, ხარჯავ, ვალებს ვიღებ,
გავცემ თუ კი რამ გამაჩინია,
ნუ გიკვირს ჩემი საღარიბე,
ჩემი სიმდიდრეც ამაშია.

იცხოვრე მუდამ ჭკვა და გონით,
ნუ შეგშურდება სხვის ქონება,

სიმდიდრეს ჭკუით სულ იშოვი,
ჭკუა ფულით არ იშოვება.

ზედმეტს ნურაფერს მოისურვებ,
იკმარე, რაც კი გაბადია,
ჩხრიალი გააქვს ვერცხლის
ფულებს,

ეგ ფულიც ეშმას ხაფანგია.

აანთე შენი ასანთები,
გაეცი გლახაკთ გასაცემი,
არავინა ვართ აქ დამრჩენი,
ყველა იქით ვართ წასასვლელი!

●
შენ კვლავ მზეჭაბუქს ელი
და მზის ქალაქში დახვალ,
მე კი მსურველი შენი,
დავმსგავსებივარ საფლავს.

სადაც დარდები შენი,
მატლებად დაცოცავენ
და ტრფობით სავსე შენს გულს,
დაუნანებლად ჭამენ.

შენ კი ისევე ბრწყინავ
და ეკლესიას გახხარ
და ჩიმთვის არც ერთ კვირას,
პარაკლისსაც არ მართავ.
არ მინთებ ტრფობის ცეცხლით,
მაგ თაფლის თვალებს სანთლად,
ჩემი სიცოცხლე ჩემში
დამარხულია ახლა...

მატლად დასეულ მწარე
ფიქრებს და დარდებს ვუძლებ,
მეც იმბივით მებენენ –
ტვინზე, თვალებზე, გულზე.

შენზე ამდენია დარდმა,
უკვე ძვლებშიაც დამხრა,
შენ კი მზეჭაბუქს ელი
და მზის ქალაქში დახვალ.

●
შენ წინაშე ახლა გალურსული
ვდგავარ,
დედამიწამ აცხო ჩემი ობლის
კვერი,

ერთი მუჭა მინა, ერთი პეშვი ცა
ვარ,
და ამ ცის და მინის მონაწური

ცრემლი.
გაფითრებულ სახით შემოდგომას
ვგავარ,

გული ჩემი ყოფის ბოლო წუთებს
ითვლის,

შენი სიყვარულის ღირსი რატომ არ
ვარ,

თუ კი შენ ხარ ჩემი სიყვარულის
ღირსი?!

შავი დღეები და თეთრი ღამეები –
იმარცვლება ასე ჩემი დღეთა მძივი,
სიყვარულო მგოსნებს ტკბილად
ამღერებდი,

მე კი როგორც გედი, სიმღერითაც
ვტირი.

შენ წინაშე ისევ ნაღვლიანი ვდგავარ,
გული ჩემი ყოფის მძიმე წუთებს
ითვლის,

შენი სიყვარულის ღირსი ნუთუ არ
ვარ,

რატომ მაინც, რატომ?
რისთვის მაინც, რისთვის?

●
ველარ ვცნობ ვერც მამულს,
ველარც ერს,
ფერშეცვლილს
უცხოთა მოდებით,
როდისლა ალიდგენ
ძველ სახელს,
როდისლა
საქართველოვალი?!.

●
ცვრიანი მწვადი, შოთი პური,
სუფრა ქართული,
ბროლის ჭიქაში მოციმციმე
„ვაზის ასული“,
ქალსა გავს ღვინო, დალოცვილი
შენს თავს მაგონებს,
მასშიც არსებობს რაღაც წმინდა,
რაღაც მაცდური.

თუ კი თვალიდან მეც მოგწყვიტე
ცრემლი მძივივით,
ეს სიყვარულით მიცელქია,
ახლა ვინანი,
სააქაოში მკვდარს არ ძალუძს
განცდა ტკივილის,
დღეს თუ კი ვცოცხლობ, მე მა-
ცოცხლებს ეს სატკივარიც.

შენსკენ ყოველთვის ცრემლმორე-
ულ თვალებს ვაცეცებ
და ბუმბულივით მედებიან გულზე
ფიფქები,
მეც ისე ვკენკავ შენგან დაყრილ
სითბოს ნამცეცებს,
პურს რომ კენკავენ დამშეული ზამ-
თრის ჩიტები.

●
უგემურია ეს ცხოვრება და
მომწამლავი
(თავის ჯვარს ამხელს ფაფუკ
თოვლზე ჩიტის ნავალიც),
ჩემს ცხოვრებაზე ზღაპარივით
ისევ გიყვები,
სხვისოვის თაფლია სიყვარული,
ჩემთვის წამალი.

●
როცა გამწირავს ეს სიცოცხლეც
ჩვეულ ხალათით,
გამიშავდება ისფერი ზეცის არილი,
„ლოთს და გარენას“ დამაღვარე
ცრემლის არაყი,
ყოფას უგემურს დააყარე სიტყვის
მარილი...

●
სათქმელი სიტყვა უფალმა მანდო,
მინდოდა მეთქვა სიტყვაზეც მეტი,
ჩემი სიცოცხლით რასაც ვერ ვამბიტ,
ა იმას ჩემი სიკვდილით გეტყვი.

სული უფალთან დაფრენს ჩიტივით,
სხეულს მინიერს მინა ღებულობს,
ჩემს სამარესთან მეტყვის სიკვდილი –

**თებერ ავსაჯანიშვილი**

შენ გაიმარჯვე დამარცხებულო.

ეს ყველაფერი ქართული მიყვარს,
სულსაც ქართული სიტყვა მოსავდა,
რომ დამმარხავენ, მშობლიურ მინას,
ტანზე მოვირგებ ქართულ ჩოხადა!

●
არ გავჩუმდები, დღეს რაც ხდება
უნდა დავწერო,
სისხლი ასკდება გულის კედლებს,
შფოთავ-ხმაურობს,
რა საბრალოა უქართველოდ ეს
საქართველო,
რა საბრალოა ეს სოფელი
უსიყვარულოდ.

ო, მეც ავად ვარ მამულივით,
ვეღარ ვჯანმრთელობ,
მაცხოვრის ხატთან მუხლმოდრე-
კილს ლოცვა მწადია,
გულში გვეღვარე მირონივით
უფლის ნათელო,
იქ დამამკვიდრე ღმერთო ჩვენო
სადაც მადლია!

და მე სულ მინდა სიყვარულით
რამე დავწერო,
გული მიკვდება ყვავ-ყორანს რომ
არწივს ადრიან,
უცხო თესლს უნდა უქართველოდ
ეს საქართველო,
მაგრამ უფალი არ დაუშვებს, ამას
ცხადია!

●
სიგარეტიც აღარ შეგრჩა,
აღარც ერთი ღერი,
ამ ყოფას რომ შეაბოლო,
დაიწყნარო ნერვი...
წამლად ახლა ღვინო გიჯობს,
მაგრამ არ გაქვს ფული,
ბოთლი ღვინო რომ იყიდო,
დაიმშვიდო გული...
მოვა... მოვა... რასაც ელი,
შეიცვლება ეს დრო,
ამ მკაცრ დროსაც გაუძელი,
გაუძელი, თენგო!



Georgian Language

ძმაო, იჩქარე, გახდი სულელი და
თავი დაანებე ამაო სიბრძნეს
ოთანე კიბისაღმწერელი

დავფიქრებულვად საგანგებოდ იმაზე, თუ რამდენად ხშირად ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურობაში სიტყვას **არის** (ვარ, ხარ, ვართ არიან ანდა უარყოფით ფორმაში: არ ვარ, არა ხარ, არ არის, არ არიან, არა ვართ)? ახლა ერთი წამით წარმოვიდგინოთ ადამიანი (კაცი, რომელსაც სიტყვა **ვარ** დაეკარგა ანდა კაცი, რომელსაც არა აქვს სიტყვა **არსებობა**—ასეთი ადამიანი ვერ იმას იტყვის, რომ არის და ვერც იმას, რომ არ არის, ვინაიდან არ-**არის**-შიც **არის** შედის), რომელმაც დაკარგა უნარი იმისა, რომ ეს პანა-

რასაც სიმრავლეს უწოდებენ (ენა უწოდებს).

არის ლაპარაკი *fantômes, esprits, revenants* ფანტომებზე ანუ აჩრდილებზე, სულებზე? გავიხსენოთ ილიას თანამდევი, უკვდავი სული.

შესაძლებელია თუ არა ფანტომების
გადაცემა, ფანტომების სწავლა და სწავლება? ჩვენს ნინაშეა ილია ჭავჭავაძისა
აჩრდილი. ეს ისეთი რამაა, რაც არ არის
წარმოდგენელი, არ არის ანინდელი. იმ
ისტორიულ-მეტაფიზიკურ ეპოქაში, რო-
მელშიც არსი, არსებობა გაგებულა რო-
გორც ანინდელობა, თანაობა, პრეზენსი.
ხოლო ფანტომში, აჩრდილში არის რაღაც
ისეთი, რაც არ შედის თანაობაში, ანინდე-
ლობასა და პრეზენსში. ანუ ფანტომი ისე-
თი რამაა (რამ არის), რაც არ არსებობს (ე-
ნა ასე მეტყველებს: არის არც არის). ილია
გვასწავლის თუ როგორ უნდა ვიცხოვ-
როთ ფანტომთან, აჩრდილთან. ფანტო-
მი, აჩრდილი გამოსახულებაა. ეიდოლონ

ანდა გინდა იყო შენ თვითონ. ღმერთის
ნინაშე დგომასა და ღმერთის შესახებ
წარმოდგენას იგი აიგივებს. მე მგონია,
რომ ღმერთის შესახებ წარმოდგენაში
კირკევორი გულისხმობს ღმერთის ხატს.
იმიჯმენიკინგ(ეიდოლოპოიკე) ხატერა
ხომ არ არის? მაშინ რა გამოდის, რომ
ადამიანი არის ხატმწერი(არა თეოლოგი-
ური გაგებით). კაცობრივი სული, ჩვენი
სული წერს ხატებს. რა არის წერა? ნაწე-
რი? წიგნი?

ჩვენი სული არის ხატმწერი. მაგრამ რა არის მისი მოდელი? ანდა რომელი ხატია ჭეშმარტი ხატი და რომელი ცრუ-ხატი? როგორ უნდა გავარკვიოთ ეს (ხატის წარმომავლობის საკითხში მნიშვნელობას იძენს: ფსიქოანალიზის საქმე). უნდა მოვიშველიოთ სინერგია. ადამიანი არის ხატმწერი (ხატნერა – ამ სიტყვიდან არ გვესმის არც სიტყვა, არც სულერა, ბერა, ხმა, არც ძერა). იგი არც გლოსას შეიცავს, არც ფონებს და მთლიანად ეფუძნება გრამას – წერას, ნაწერს: გრამატოლოგის და დეკონსტრუქციის) (არათეოლოგირი გაებით: როცა მოშლილია

አስተዳደር ንግድ

J R M E O C O

ნა სიტყვა წარმოთქვას. იგი ვერასოდეს იტყვის: ვარ; ვერასოდეს გეტყვის ხარ; ვერასოდეს იტყვის არის; – იქნება; – იყო და ა.შ. ძნელი წარმოსადგენია ადამიანს თავს დაატყდეს ამაზე დიდი უბედურება (გავიხსენოთ ჰაიდგერი). მაგრამ საქმე ისაა, რომ არსი, არსებობა, ყოფიერება როგორც *Urwort* ისეთი რამაა, რაც კველა ენაში წინასწარგაგების სახითაა მოცემული.

ქართულში ისე როგორც სხვა ენებში,
არსი არის პირველსიტყვა.

ერთობ დამიტობა. რას ვეულისხმობს? იმას, რომ არსი – მიუხედავად მასთან დაკარგშირებული უცნაურობებისა – ჩვენში კარგი სახელით (რეპუტაციით: ლათინურიდან - განმეორებით ფიქრი, მიჩნევა) სარგებლობს. მოჩვენებას კი ცუდი სახელი (რეპუტაცია) აქვს. გავიხსენოთ, როცა გვინდა ვინმე რამეში დავარწმუნოთ მივმართავთ: დამშვიდდი მართლა ასე კი არ არსი, გე-ჩვენებათ. აქ კიდევ ერთი სიტყვა შემოვიდა: მართლა. არსს ენამ სიმართლე (თუ ეს მართლა გამოცდილებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ იგი ჩემი შთაბეჭდილებაა არსის შესახებ?). მაშინ მოჩვენებას რა დაუტოვა? არა-მართლა (უმართლობა). არამართალი, უმართლო, ანუ სიცრუე. მოჩვენებას უკავშირდება სიცრუე. არსი-სიმართლე, მოჩვენება-სიცრუე.

რა გამოდის? არსის, არსებობის შესახებ ლაპარაკს თავი უნდა ვანებოთ და მოჩვენებში თუ მოჩვენებზე გადავინაოთ?

ძველ ბერძნებს ჰქონდათ ასეთი სიტყვა: ეიდოლონ. ქართულად იგი შე-იძლება გამოსახულებად ითარგმნის: ეიდოლონ—გამოსახულება (წვენს ენაში იდოლაც არის გავრცელებული). იოანე პეტრინი თავის ცნობილ კომენტარში მას კერპად თარგმნის. მაგრამ კერპი ქართული სიტყვა არ არის. ქართულად, ალბათ, იქნებოდა ქანდაკი, ძეგლი. ენა ამბობს: გამოქანდაკება და ძეგლის დადგმაო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ორივე მოქმედებას ჩვენ რაღაც ნივთიერს (სხეულებრივს) ვუკავშირებთ. მაგრამ შესაძლოა აგრეთვე რაღაც აზრშიც (ფიქრშიც) აქანდაკი; — ძეგლი ფიქრშიც ჩამოასხა. ძეგლის ჩამოსხმა: სხმა სითხესაც, დენა-საც (ბერძ. რაო, რემა) უკავშირდება და ნაყოფის გამოლება-მოსხმასაც. გამოისხა ნიშავს, რაღაცამ თავი გამოაჩინა, სახე შეიმოსა. გამოსახულებაში სწორედ ეს მომენტი გამოიდას წინა პოანზე.

მიყუბრუნდეთ ისევ პლატონს. სოფისტი იგი ლაპარაკობს ეიდოლოპოიკეს შესახებ. ამ სიტყვიდან გვეყურება ეიდოლონ და პოესია. ერთის შესახებ უკვე რაღაც ვთქვით. რაც შეეხება პოიეკს, მის ძირში დევს პოესის და ნიშნავს ქმნას, შემოქმედებას. ეიდოლოპიკე ანუ გამოსახულებათ ქმნადობა/სახეთქმნადობა. ინგლისურად ამ სიტყვას თარგმნიან როგორც იმიჯმეიკინგ. ეიდოლოს—იმიჯ, პოიკე—მეიკინგ. ანუ ამ გაგებით პლატონი გველაპარაკება იმიჯმეიკერობის შესახებ. ეს კი გაგებულია ან როგორც ხელობა ან როგორც ხელოვნება.

